

სიცოცხლის სიმბოლური რეპრეზენტაცია მეოცე საუკუნის დასაწყისის
გერმანულენოვანსა და ბრიტანულ ანტიზღაპარში (ჰოფმანსთალი და
უაილდი)

ნინო ულუმბელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე გერმანული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან ცაგარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ულუმბელაშვილი

23.01.2019

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, გავარკვიოთ სიცოცხლის სიმბოლური რეპრეზენტაციის თავისებურებები მეოცე საუკუნის დასაწყისის გერმანულენოვანსა და ბრიტანულ ანტიზღაპარში ჰუგო ფონ ჰოფმანსთალისა და ოსკარ უაილდის საავტორო ზღაპრებზე დაყრდნობით.

ნაშრომში განხილულია ხალხური და საავტორო ზღაპრების შიდაჟანრობრივი მახასიათებლები, განსაზღვრულია ანტიზღაპრის პოეტიკა. სტრუქტურალისტური მიდგომის და გამჭოლი კარტოგრაფიის ანალიზის საფუძველზე კვლევის მეთოდად შეირჩა გამჭოლი კარტოგრაფია. წინამდებარე ნაშრომში ბრიტანულსა და ავსტრიულ ანტიზღაპრებს შორის არსებული სტრუქტურული და თემატური მსგავსებები და განსხვავებები ახსნილია საუკუნეთა მიჯნაზე არსებული პოლიტიკური და კულტურული ვითარებით.

ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის *672 ღამის ზღაპრის* და ოსკარ უაილდის *ბედნიერი უფლისწულის* ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ რეალური სამყაროს შეცნობა ხდება მხოლოდ მასთან პირდაპირი ინტერაქციით, ხოლო რეალური სამყაროდან გამიჯვნა და ხელოვნურ, ესთეტიკურ სამყაროში ჩაკარგვა დამლუპველია ადამიანისთვის.

ბოლო, დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ლიტერატურულ ტექსტებში სიცოცხლის სიმბოლური მნიშვნელობა, გამოკვეთილი საერთო კონტექსტების მსგავსება და ესთეტიზმის როლი.

საკვანძო სიტყვები: ანტიზღაპარი, საავტორო ზღაპარი, ხელოვნება, გამჭოლი კარტოგრაფია, ესთეტიზმი.